

ჯეჯილი

345 /₃

ს ა ყ მ ა წ ვ ი ლ ი ს შ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი

ე უ ჩ ნ ა ლ ი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!...

ა. ქ.

3202

№ II

« ჯეჯილი მეოთხე »



ტ ფ ი ლ ი ს ი

სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა

1893

Tipografija Gruz. Izdat. Tovariщestva



Дозволено цензурою Тифлисъ, 29 Февраля 1893 года.

მეფე და მხატვარი



რო ცხალთვალ მეფეს მხატვარი ჰყავდა
 სელოვანი და სახელ განთქმული,
 მაგრამ დაღუპვა უნდოდა ძისი...
 მიზეზს ეძებდა გარისხებული.

ერთხელ მოიხმო და ეს უბრძანა:
 «მსურს გადაიღო ჩემი სახეო!»
 მიხვდა მხატვარი: «ვეჭ! ვიღუპები,
 ახლა დამიგეს სწორეთ მახეო!»

დ არ ცეცხლ შეა ჩავარდნილ მხატვარს
 თავს ატევებოდა ზარი და ძეხი;
 მაგრამ მოხედა ღმერთსა საბრალოს
 და მოაგონდა ამ გვარი სერხი:

«თუ რომ დაგხატე სწორ თვალიანი,
 მეტყვის: «არა მკავს! ვერა ხედავო ?
 და თუ გადგიდე ნაძვილ-ცალთვალა,
 იწევნს: «ვით მკადრე? როგორ ჰქონდავო?..»

დახატა: ვათომ მეფე ნადირობს,
 თოვეი აქვს ხელში, უმიზნებს ნადირს;
 წამხდარი თვალიც დაახუჭვინა...
 და ამ გვარ სერხით გადაურჩა ჭირს.

მ ა რ ი ა მ ა

სახლდგომა დებძნება

(ფრანგულიდამ)



ინ!.. დინ!.. ღინ!.. მოსმა წმინდა ნიკოლოზის ეკლესიიდან ცისკრის რეკა.

მარიამაშ გადახსნა ფარდა და გაიხედა. ის იყო, რიერაებდა. დილის ნისლში დაინახა მაღლობ სერჩედ ეკლესია და ლიმილით მიესალმა იმის ზარის რეკას.

რასაც აქ მოგითხობთ, აღდგომა დღეს მოხდა. მას აქეთ დიდი ხანია გასული.

მარიამაშ საჩქაროდ ვადიცა კაბა, მოიხურა მოსასხმელი და დაადგა ეკლესიის ბილიქს.

თუმცა ჯერ თოველი იდვა კიდევ ზოგან იქ, საცა ჩრდილი იცოდა, მაგრამ ბალახებში იას და სხვა ყვავილებს უკვე ამოეყოთ თავი.

მარიამა ფიქრობდა, რომ იმაზედ ბედნიერი აღარაენ იქნებოდა, თუ ყოველ კვირა დღეს მოახერხებდა საყდარზედ წასელას და იქ თავის დარდებს და ნალველს მოიქარებდა.

მარიამასათვის დროს გატარებაც იყო ეკლესიაში სიარული, რადგან ზოგჯერ მთელი კეირაობით ბეღურა ჩიტებსა და მახლობელ ტყეში მცლებს გარდა, ხორციელს კაცს ვერა ხედავდა. ამიტომაც ეკლესიის ზარის რეკას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მარიამასთვის. ეს შეიტყობდა ხოლმე ზარის ხმით ქვეყნის ამბავს: ჯვარს იწერდა ვინმე, თუ ვისმე მარხავდენ, ან თუ ბავშს ნათლავდენ.

ხშირად ზარსაც ელაპარაკებოდა:

— შენ ყველა გაჭირებულების შემბრალე, გვილოცავ განა გაზა-
ფხულს, საწყალ ხალხისთვის წრეულს რა საშინელი ზამთარი იყო,
პური ისე ცოტა მოგვივიდა, რომ გევრს ოჯახებში არ ეყოთ შეი-
ლების გამოსაკვებად. დადგა კაი დღეები, თბილი მჩე და დედაში-
წაც იღვიძებს.

— მე უბედურს კი, შავი დღე დამიდგა! აღარა მყავს ჩემი ბეკეკა!
ვიღას გავიყვან მინდორზედ საძოვრად. საბრალო გუშინ წინ მომი-
კვდა. დილით ფარებში ვნახე გაშეშებული. დამიობლდა სახლ-კარი.

ამ მოგონებაზედ ახალგაზდა ქალს თვალები ურემლებით აექსო.

— წმინდა ნიკოლოზის ზარო, შენი მშენიერი და ნალელიანი
კრიალა ხმით ერთხელ მარიამაც გაახარე! სთქეა ეს მარიამამ და
ამოიხხრა.

— დინ!... დინ!... ნუ გეშინიანო, თითქოს ეუბნებოდა ზარი.

— ვენაცვალე ლმერთს, ის მე წყალობას არ მაკლებს. სხვები
უფრო ჩემზედ გაჭირებულნი არიან. მე ჩემთვის ქოხი მაინცა მაქვს
კლდის ძირას, წინ ლამაზი წაბლის ხე მიდგია, მაქვს ჯარა და თი-
თის ტარი. ჩემ გარშემო ტყეა, საცა ბევრი ფიჩხი იშოვება. კინალაშ
დამაერწყდა, მე ხომ კიდევ ქათამი მყავს, რომელიც ყოველ დღე
კვერცხსა სღებს.

ამ ფიქრებით გართული მარიამა მიეიდა ეკლესიაში.

ზამთარი, მართლა, რომ სასტიკი იყო; ეს ყველას სახეზედ ეტყო-
ბოდა ეკლესიაში, მეტადრე ბავშვებს. იმათი გაყვითლებული სახე
წმინდა სანთლის შუქზედ უჯრო ჩაყვითლებულად მოჩანდა.

წირვას შემდევ მარიამა წამოეიდა შინისკენ და თან ფიქრობდა;

— ნეტავი ერთხელ, ერთხელ მაინც ჩემ სიცოცხლეში ამ სა-
წყალ ბავშვებს მივცე ისეთი რამე, რომ სიკეთეც მოუტანო და სია-
მოვნებაც.

ამ ფიქრებმა გაიტაცეს სრულიად მარიამა.

კიდევ მოესმა ზარის ხმა: დინ, დინ... თითქოს ეუბნებოდა:
იმედს ნუ დაჰკარგავ, მარიამ!

მარიამაშ გაიარა კარგა მანძილი, შედგა დასასერებლად, პირს
ქარი უქროდა, სული უნდა მოებრუნებინა.

ამ დროს უეცრად მარიამაშ დაინახა კუნძხედ ჩამომჯდარი
ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, რომელსაც თავ-ქვეშ ხელი ედვა და
ისე ეძინა. ის იყო ფარაჯაში გახეეული, თეთრ შუბლზედ ხუჭუჭი
თმა უჩანდა.

— ღმერთო! წამოიძახა მარიამაშ, ეს უბედური ხომ მო-
კვდება ამ სიცივეში!

— ყმაწვილო, გაიღვიძე. რას ჩადიხარ! იქნება მთებში დაგებნა
გზა. საიდან მოდიხარ, ან საით მიდიხარ?

— მცირა.—სთქვა კანკალით მგზაერმა. აი, წამო, ყმაწვილო,
ჩემთან, მე კაი ცეცხლს დაგინთებ.

მარიამაშ მგზაერი შინ წაიყვანა. როდესაც ქახში ცეცხლი გა-
ჩალდა, მგზაერმა თავიდან გადიძრო ფარაჯა და გულ მოსაკლავად
წამოიძახა:

— მშიან.

— მოითმინე ცოტა, სთქვა მარიამაშ და თან ცეცხლს შეუკეთა.

მგზაერმა ფეხები მიუფიცხა ცეცხლს.

— ღმერთო! ფეხშიშველა ყოფილა! ალბად ფეხსაცმელი დაუ-
კარგას! — წამოიძახა გულკეთილმა მარიამაშ და საჩქაროდ გაიძრო
თვისი ახალი ფეხსაცმელი და ჩაცვა ყმაწვილ კაცს. აი, თითონ კი
ისევ ძველ ფოსტლებში ჩადგა ფეხი და მხიარულად დაიწყო შინ
ტრიალი. მაღლობის მაგივრად მგზაერმა მისუსტებული ხმით წა-
მოიძახა:

— ძალიან მშიან.

სწორედ ამ დროს მოისმა ქათმის კაკანი. მარიამს გაახსენდა,
რომ ქათამი კვერცხს დასდებდა. იმ წამსევ გაქრა და პატარა ხანს
შემდევ შემოიტანა, ახალი დადებული ჯერ კიდევ თბილი კვერცხი
და მგზაერს წინ დაუდო, მასთან ერთი ნაჭერი შავი პურიცა. მერე
ლიმილით უთხრა:

— შეექცი, ჩემო კარგო!

მგზავრმა საუზმეს ხელი არ ახლო. უცბად გადიხადა ფარაჯა.
ყმაწვილ ქალს ენა ჩაუვარდა, გაოცდა და მუხლები მოიყარა.



მგზავრს ქერა-თმა გაუბრწყინდა და ნათლის შუქი შემოადგა შუბლზედ. მის სათნოებით საესე თვალები თითქოს ყველას გულში იხედებოდა. ღია ცისფერი ტანისამოსი მოჭედილი იყო გარსკელავებით. მისი დიდროანი თეთრი ფრთები თითქოს გაფრენას აპირებდენ.

მარიამა მაშინვე მიხედა, რომ ლვთისაგან მოვლენილი ანგელოზი იყო.

— მარიამა, სთქვა ანგელოზმა, ჯილდოს ღირსი ხარ, მთხოვე, რაც შენ გულს ჰსურდეს, რადგან მშიერ მწყურევალი და უბინავო მგზავრი განიკითხე.

— ოჟ! დიდებულო, მთავარ ანგელოზო, — სთქვა მორცხვად ქალმა, მე არა მინდა რა ამ ქვეყნად... ყოვლად მოწყალე ლვთისაგან წყალობა არ მაკლია.



— რას ამბობ, მარიამა, ნუ თუ შენ დღეში არაფერი არ გინატრია.

მარიამა წამოწითლდა სახეზე.

— მომიტევეთ, ის იყო, თქვენს შეხედრას წინედ სულელური ნატვრა გავიტარე გულში: მინდოდა სიმდიდრე მქონოდა, რომ ლარი ბებისთვის შემძლებოდა უხვად ხელის გამართვა...

— მაშ კარგი უთხრა ანგელოზმა, დღეის იქით ჭოველ წელიწადს სააღდეომოდ იმდენი კვერცხი გექნება, რომ ყველა ამ მთის ყვაწვეილებს მისცე ისე, როგორც დღეს მე მომეცი.

— მერე ეგ რომ შეუძლებელია! ერთი ქათმის მეტი არა მყავს, მთავარ ანგელოზო და ხომ მოგეხსენებათ, ქათამი დღეში ერთი კვერცხის მეტს ვერ დასდებს.

— მომისმინე, უთხრა ანგელოზმა. ერთხელ ელისე წინასწარმეტყველი განდევნეს. მშიერ მწყურვალი, შეწუხებული დალალვისაგან, მიადგა ერთ დიდ ქალაქს, მაგრამ ვერ გაბედა შესვლა, საბრალო ისეთ მდგომარეობაში იყო. ერთ ღარიბ დედაკაცს შეეცოდა და წაიყვანა თავის სახლში. ამან არ იყოდა, რომ წინასწარმეტყველი იყო.

— მე სახლში ცოტა ერბო და ფქვილი მევულება, ამით საუზეს გაგიკეთებთ და მერე ღმერთი მოწყალეაო — უთხრა დედაკაცმა.

ამაზედ წინასწარმეტყველმა უპასუხა.

— ღმერთი არ დაჲკარგაეს კეთილ არსებას და რადგანაც იმისი მსახური შეიბრალე შენ, დღეის იქით ერბო და ფქვილი არ გამოგელევა.

— შენთვისაც, მარიამა, ღმერთი აჩვენარ სასწაულს მოახდენსო.

ანგელოზმა თავის წმინდა თითებით ჩადევა კალათაში კვერცხი და მარიამა მიახედა კარებისაკენ, საიდანაც მოჩანდა დიდ ძალი ბავშვები, რომელნიც მიდიოდენ ყვაეილების საკრეფად.

— სცადე, დაურიგე.

სიხარულით ატაცებულმა მარიამაშ მოიხმო ყმაწვეილები და ყველას სათითავოდ დაურიგა კვერცხები.

მომგვარეთ თქვენი ამხანაგები. ყველას ერგება, ყველასთვის საყოფა მაქს.


მარიამა სიხარულით სულს ძლიერ იბრუნებდა.

— მე სწორედ ამ გვარ სიმღიდრეს ვნატრობდი. ანგელოზი იმავ წამს გაქრა.

მასუკან ყოველ ალდგომას მარიამას კალათაში კვერცხები არ გამოილეოდა, თუმცა ყველა იმ კუთხის ბავშვებს ურიგებდა.

მარიამას სიკედილს შემდევ ყველა ქრისტიანებმა დაიწყეს ალ-დკოშის დღეს კვერცხებით მილოცვა და ეს ჩვეულება დღემდის დაკვრჩა.

ან. თ.—წ—სა.



ს ი ს ე



ეთრი, თეთრი, როგორც თოვლი,
 მეტად ტურფა არის «ცოცე»
 სუფთა, ნაზი .. მე რომ ვნახე
 გავიკვირვე, გავიღცე!
 გაზრდილია ნებიერად,
 სიფაქიზეს მიჩვეული,
 სალიჩაზე დასეირნობს,
 ბალიშზე წევს, ვით სნეული.
 სან კალთაში განისვენებს,
 უალერსებს ქალი დარო;
 ის მამინვე იწევნს, შენ რომ
 ცოცეს ხელი მიაკარო!
 სასმელსაჭმელს ნუდარ მკითხავ!
 რას მოითხოვს ცოცეს გული?
 ორივე იმის კერძია:
 შემწვარი და მოხრაკული...
 ის არ დარდობს, თუ რომ თაგვება
 ფართოდ გაიკეთა ბინა;
 ცოცემ შალი მირს დაიგო,
 არხეინად დაიმინა! ..
 მარტო მამა ბობოქარობს:
 «ნუ გარევენით, ე, კატაო!
 ხომ ხედავთ, რომ სახლს და სარჩის
 თაგვი აეჭვიატაო?!!..»

გ ე დ ო ე ბ ა



უდეზედ მსხდომნი ჩიტები
ბარტების ცქერით სტკბებიან;
მათ სიცოცხლესა; გაზრდასა
უფალსა ევედრებიან:

— ღმერთო, გვიცოცხლე სამივე,
მტრისაგან დაგვიფარეო;
არ დაგვრჩეს ოსრად ეს ბუდე,
ეს ჩვენი ტურფა მსარეო!

« ჩახუტებულებს ზედ სხივი
ციური მოაფინეო
და სიკვარული, გამჩენო,
მარადის შეარჩინეო!.. »



სანდრო და ვაშლი



უადღე იუ. დიდი სიცხე იდგა. მინდვრიდან სახლში მიღიოდა ჰატარა სანდრო. სიმშილიც ძლიერ აწესებდა და წეურვილიცა. გზაზედ მეზობლის ვენახში ღობესთან დაინახა წითლად დაკუნწლული ვაშლი. თვალი ზედ დარჩა, ზირ ში ნერწევი მოუვიდა და კბილებმა კაწკაკი დაუწეო. ვაშლები თითქო უცინოდენ სანდროსა, იწვევდენ და ეუბნებოდენ: ამოხტი, მოგვილიჯე, ჩაგვებიჩე და პირი ჩაიტკბეო.

სანდრო ეოუმანობდა, სხვისი ვაშლის ქურდულად მოკრეფა ემნელებოდა, ეთაკილებოდა: თავის დღეში ქურდობა არ ექმნა. ბოლოს ვედარ მოითმინა, სელმა წასძლია, ახტა ღობეზედ, მოიწია ტოტი და ოთხი წითლად დაბრაწული ვაშლი მოგვლიჯა.

მიდის შინისაკენ სანდრო, სჭამს ვაშლსა და თანაც რაღაც ჯავრსა გრმნობს, თითქოს გულში ვიღაც უზის და ეუბნება. «ეგ სომ ქურდობა ჩაიდინეო.» შხამად ერგება ვაშლი საწეალს ბავშვა, სწუხს თავის სულწასულობაზედ; მაგრამ რაღა ჭიქმნას? ვაშლებს სომ ვერ მიაბამს ხეზედ.

მიდის ასე შეწუხებული. უცებ სანდრო გაჩერდა, რაღაც აზრი მოუვიდა, სახე ვაუნათლდა. იქმნება წამალი უზოვნა



თავის სირცხვილისა? — სანდოომ მოჭკურცხლა ვენახის ჰატურონის სახლისაკენ, მიირბინა კარებზედ და დაიძახა:

— ნათლი-დედ, ერთი გარედ გამობრძანდით.


— შენა, სანდოო? რა გინდა, ჩემთ კარგო? ჸეითხა შინიდგანვე დიასახლისმა.

— ნათლი-დედ, გეთავევა, ნუ გეწეინება: ოქვენს ვენახში განაპირა სეხილზედ ოთხი ვამლი მოვგლიჯე ზირის გასასველებლად, და სამავიერო სიკეთეს გადაგიხდითო.

— შეგარგოს ლმერთმა, უთხრა კეთილმა დიასახლისმა.

სანდოო დაბრუნდა შინ სუნიდის დამშვიდებული და ტკბილად შეირგო წითელი ვამლები.....

ი. სვიმონიძე



თოვლი სოფლად


თოვლი მოვიდა სოფლად,
 თეთრად შხეჭედ კრიალებს
 და ზედ ბავშვების ციგა
 თავდალა მისრიალებს.

სამზღვარი აღარ უჩნს
 ცელქების ჟიგილ-კივილსა;
 ზოგი ეინულზე გორავს და
 არ ნაღვლობს თავის ტკივილსა.

ზოგი დასწრება თოვლსა,
 სიცილით აგუნდავებს;
 ისვრის და ერთმანეთში
 ჩსუბი აქვთ მონავარებს.

მათში ერთს შესცივნა,
 დგას ჩუმად მობუზული;
 გულ-ხელი დაუჭვდია,
 თეთქოა გაბუზული.

სიცივეს გერ ავიწებს
 მას ციგა დამტგრეული
 და სხვების ლხინს უკურებს,
 თვალში ცრემლ - მორეული.



თოვლი სოფლად

ღი. მეტივერა

ჩ ვ ე ნი ბ ე ლ ა დ ი



ვენი ბელადი» მუტი სახელი იუო ქ. თბილის
სის სკოლის ერთ ჩატარა შეკირდისა. ნამ-
დვილ სახელს კი ერეკლეს ემასდენ. ეს მუტი
სახელი ერეკლეს მასწავლებელმა დაარქვა,
ამხანაგებსაც მრიელ მოწონათ. ერეკლემ ამას
შემდეგ დაგროვა ნამდვილი გვარიცა და სახე-
ლიც ამხანაგებში. ეველანი «ჩვენ ბელადს» ემასდენ. სწორე-
დაც უნდა სოქვას კაცმა, რომ ეს სახელი ზედ გამოჭრი-
ლი იუო ერეკლეზედ: არა საქმე არ გამოხსდებოდა კლას-
ში, რომ ერეკლე მოთავედ არა ყოფილი იყო, ან იმისი
გაუცემელი და უნახავი რამ დარჩენილი იყო. კლასში ის
პირველი თანამემწე იუო მასწავლებლისა. მასწავლებელიც
მიუხვდა მის სასიათს და ისიც სიამოვნებით აბარებდა
სხვადასხვა საკლასო საქმეებსა: ხან რეესულებს დაარიგუ-
ბინებდა, ხან მელანს ჩაასხმევინებდა საწერელში, ხან რას და
ხას რას.

ამხანაგებშიაც ხომ პირველი მოვაჭრე იუო ერეკლე.
არა სათამაშო, არა გმარი კარანდაში და მელანი არ
გამოესარებოდა ერეკლეს, რომ ხელში არ ჩაეცდო. იუიდ
დდა, მაგალ. ჩატარა სათამაშო თოვს; იმას გული არ
უთმენდა, უნდოდა ენახა, როგორ იუო ივი მოწეობილი.
ამ ცოდვილობაში მოქმედებოდა თოვი და მეორე დღეს



თოფის მაგიერს სხვას რასმე დაინახავდით მის სელში, მაგ. ან დურბინიძეს (გასაღიდებელს ჟუმარს) ან საიდუმლო კლიტეს, ან სხვას რასმე, მაგრამ ამათაც იგივე დღე დაადგებოდათ, რაც თოფს; ხან მოიტანდა გადასაუფან სურათებს, ზოგა სა ჭეიდდა, ზოგს კი აჩუქებდა. ამხანაგებს უკვირდათ: სად, ან როგორ სძებნის «ჩვენი ბეჭადი» ამ ნივთებსთ ერკვლებ არ უმაღავდა, ეუბნებოდა ეველაზერს, სად იუიდა, ან როგორ იუიდა, მაგრამ ტოლები მორცხვობისაგან ნაჩვენებ ადგილზედაც კერ მიბეჭავდენ ხოლმე. ერკვლებ კი მორცხვობისა და ხათრიანობისა არა იცოდარა. იმისთვის სულ ერთი იუო, ოდონდ დაწესა უწნობი რამე, ის მაშინვე იქ მიიჭრებოდა და ვიდრე არ გაიგებდა, რაში იუო საქმე, არ დაესხნებოდა. ამხანაგებში პირველად იმან გაიგო და ნახა ქალაქში ტიკინების თეატრი, პირველად იმან ნახა ცირკი და სხვებიც გაიკოლია თან ერთს კვირა დღისაც არ გაუმვებდა ერკვლე, რომ ბაზრობას არ დასწრებოდა. ხან ძველის თოფის მუიდავს უვლიდ გარს და ცნობის მოუგარეობით შესცეკროდა ხელებში, ხან გამოკიდეულს სურათებზედ დარჩებოდა თვალი, ხან რაზედ და ხაზედ.

აგერ მოშორებით, კედლის მირას დგას რადაცა მანქანა და ერკვლეც თავს დასდგომია... ერკვლებ წაავლო ჩარხს ხელი და დაატრიალა; მაგრამ არ დააცალეს საწევლას მანქანის გასინჯვა, დაჭირვლა სემოდგან პატრონმა, კიდეც უნდა ჩაერტყა თავში; მაგრამ ერკვლე არ შეუშინდა, შეუბდვირა თავისი პატარა თვალებით და შედგა.

— რა დიდი რამეა, რომ ვნახო?! ხომ არ შევჭამ? — უთხრა ერკვლებ წექნით და გასწია თავისი გ ხაზედ. იგლი-

და, ივლიდა და მაინც, თუ ფული ექნებოდა, ხელ-ცარიელი არ მოვიდოდა შინ, უთუოდ რამე უნდა ეეიდნა.

გრეკეთილებს შემდეგ, მხე რომ კარგა გადიხრებოდა, ერეკლე მლივს მივიდოდა შინ. დაინახავდა ფანჯარაში ძესაათეს, გაჩერდებოდა მის წინ და გატაცებით ადევნებდა თვალს. მაღაზიების წინ ისე არ გაივლიდა, რომ მისი ცნობის მოუვარეობა არას გაეტაცნა. აგერ, გაისმა ეზო ში არღანის ხმა და ერეკლეც იქვე დაიბადა. მერე დანების მლესავს დაინახავდა, ახლა იმის ცერას მოუნდებოდა და ამასობაში სადამოც მოახლოვდებოდა. ერეკლეს დედაც შეეჩია შვილის ასე დაგვიანებას და არას ეუბნებოდა.

— თუკი შენ ზური არა გშია ხოლმე, მე რა მენაღვლე ბაო, — ეტუოდა დედა ერეკლეს.

ამ უკანასკნელ დროს ერეკლემ, გარდა სახელმძღვანელო წიგნებისა, სხვა პატარ-პატარა წიგნების ტარებაც დაიწურ სკოლაში და ამხანაგებს უკითხავდა. ამხანაგებიც სიამოვნებით ეურის უგდებდენ და კითხებოდენ, თუ სადა შოულობ მაგდენ წიგნებსაო. ერეკლე ჯერ ატუუებდა, რომ ვეიდულობო, მაკრამ შემდეგ კი უთხრა, რომ წიგნების საზინა ვიზოვე და თუ გინდათ, თქვენც მოგიტანთო, ოდონდ თვეში ოროლი შაური მომეცითო. რამდენიმე უმაწვილა სურვილი გამოუცხადა.

ერთხელ ერეკლეს «შალვას თავუკადასავალი» მოეტანა კლასში და ამხანაგებს უკითხავდა. ერეკლე შუაში უჯადათ, გარშემო თვითონ შემოხვეოდენ და მათ კისებისს საზღვარი არა ჰქონდა. უფრო ბევრი იცინეს იმ სურათზედ, სადაც პატარა შალვა მებაღეს უკდია ხელში და სცემს.



ამ დოოს მასწავლებელიც შემოვიდა და იკითხა მიზეზი მსახულობისა და ემარტვილებმაც უჩვენეს ერებლესავან მოტანილი წიგნი მასწავლებელმა გამოართო, გადა შალა პირველი ფურცელი და ლურჯ მელნით დაბეჭდილი შეძღვი სიტევები ამოიკითხა: «ქართული სახალხო ბიბლიოთეკა და საკითხავი.» ამ სიტევებზედ მას დამილი მოუვიდა.

— საიდან მიაგენი, ჴა, შე, ეშაკო, შენა იქ? ჰყითხა ერებლეს. ემარტვილებმა გაკმიდეს ხმა და სან მასწავლებელს და სან ერებლეს შესცემოდენ. ერებლე იღიმებოდა, ტოკავ და და თქმას არ ააირებდა.

— «ბელადს!» ტეუილად კი არ გეძახით!... დაიძახა ერთმა ემარტვილთაგანმა და ეველას გაეცინა.

— სოჭი, რადას გაჩუმდი! მიუბრუნდა ისევ მასწავლებელი ერებლეს.

— იმ დღეს დედა ჩემთან მივიდოდი, სასახლეს ოომ გავცილდი, წეალი მომწეურდა და შევბრუნდი წელის დასალევად «მტაბის» აქეთ რო დიდი ეზოა, აი, დამეც რო მზე ანთია ხოლმე, იქა და მინამ «კრანტთან» მივიდოდი, ერთს მაღაზიის ფანჯარაში წიგნები დავინახე, შეგნითაც სალხი იუო და გაზეთებს კითხულობდენ. ფანჯარაში ერთ წიგნზედ წავიკითხე, საეძარტვილოაო, და ვინატრე: «ნეტა მომცა მეთქი.» მერე მოვიდა ერთი ჩემზედ დიდი ბიჭი და იმანაც წიგნებს დაუწეო ცქერა.

— ჸეიდან-მეთქი ამ წიგნებს? გეითხე იმ ბიჭს.

— ეიდვით კი არ ვიცი, ჸეიდან თუ არაო, მაგრამ თუ გინდა მოგცემენ წასაკითხად და შენც თვეში ერთს

აბაზს მისცემო. მე გამეხარდა ქსა და მაშინვე შევაღე
კარი და შევეღ მაღაზიაში.

— ვინ აძლევს წიგნებს-მეთქი? ვკითხე ერთს კაცს და
იმან იქვე ქალი მიჩვენა. მე გამეხარდა, რომ ქალი იურ
წიგნების მომცემი იმიტომ, რომ ქალები უფრო გულებეთია
დები არიან კაცებზედ... აქ ერებლეს იარმუკის ვაჭრები
მოაკონდა, რომლებისაგანაც მას არა ერთხელ გამოუცდია
თავში ჩარტება.

— მივეღ და უთხარ, რო წიგნი მინდა-მეთქი. იმან
მაშინვე მომცა ერთი წიგნი და, აი, ეს ქალალდი (ერებ
ლებ უჩვენა ქალალდი) და მითხრა, რო როცა ეს გაა-
თვალო, მოდი და სხვა წიგნი წაიღეო, მეც წავიგითხე
ის წიგნი და სხვა გამოვართვი... აი, ეგ ჟესმე წიგნია...
თვის ფულიც მიცემული მაქვს-ორი შაური... ჩვენოუ-
დენებისთვის ორ-ორი შაური ურთმევიათ თვეში...

— ორი შაური, რა იაფია! გაიკვირვეს ემაწვილებმა.

— აი, უოჩაღ, უოჩაღ!... უთხრა მასწავლებელმა ერებ-
ლეს და შემდეგ დაუმატა—მაგრამ უფრო უოჩაღი მაშინ
იქნები, რომ შეს ამხანავებსაც უბელადო და ამათვისაც
გამოართვა წიგნები.

— ჩვენ გთხოვთ კიდევ, უთხრეს ემაწვილებმა!

გათავდა გაკვეოილები. ემაწვილებმა აიღეს აბგები და
წასვლას აპირებდენ.

— აბა, ვისაც გინდათ წიგნები, გამომუშვით, პირდა-
პირ იქ წავიდეთ! დაუძახა ერებლებ ამხანავებს.

— მე, მე, მე მინდა დაიგრიალა ბევრმა ემაწვილმა და
ერებლეს შვიდამდე ემაწვილი დაედევნა.



წვიმიანი შემოდგომის დღე იუო ქალაქის ქუჩებზედ
ტალანი დომხალიგით გათქვეულიერ და ძალიან ფაქი
ზად და მორიდებით უნდა გევლო, რომ ფეხსაცმელი კო-
ჭამდის არ გაგტალასიანებოდა.

— მერე ამისთანა ტალასიან ფეხებით შეგვიშვებენ კი?
თავიანთ ტალასიან ფეხსაცმელების დანახვაზედ დაკითხენ
ერეკლეს ტოლები.

— არის, რომ ტალასიანია... ტალასია და რა
უკო, მე ძალად ხომ არ გავტალასიანდი! იქ ისეთი კაი
სალხია, რო თავისდღეში მაგისთანებზედ ხმას არ გაგცე-
ბენ, განა სხვა-დასხვასავით არიან, რო იატაკის გასვრისა
ემინიანთ... იმ დღეს ისეთი მველტანისამოსიანი და გამურული
კაცი შემოვიდა რომ! თქვენ აქ წამოდით!.. უთხრა იმედიანად
ერეკლემ და ბიბლიოთეკის კარებს მიაწვა. მაგრამ ემაწვი-
ლებმა უკან დაიხიეს და შესვლას ვერა ჰქონდავდენ.

— მოდით! ბმანების კილოთი და შუბლის შეკვრით
დაუმასა ერეკლემ და ემაწვილებმაც შებედეს. შესვლისა-
თანავე მოიშვლინეს ქუდები და გამწერივდენ რიგზედ. თა-
ნაც თავიანთ ტალასიან ფეხებს დასცემოდენ და ტოკავდენ,
თითქოს იატაკზედ ფეხების დადგმა არ უნდათო. ერეკლე
კი მივიდა ქალთან და მისცა წაღებულ წიგნების ჩასაწე-
რი ფურცელი და «შალვა».

— ამათაც უნდათ წიგნები და, აი, მოწმობაც მასწავ-
ლებლისაგან, თქვენ რო მითხარით. უთხრა გაბედეით
ერეკლემ და მიაწოდა პატარა ქაღალდის ნაჭერი.

ქალმაც გამოართვა «მოწმობა», ამოურჩია ეველას სათი-
თაოდ საემაწვილო წიგნი, ჩაიწერა უკელას გვარები და
გაისტუმრა ემაწვილები.

გამოსცდებ თუ არა სამკითხველოს კარებს, გადიშა-
ლეს წიგნები და ცნობის მოვარეობით ჩასცემოდენ შეი-
და ერთი ერთმანეთს უქებდენ წიგნებს. «არა, ჩემი სჯობია,
არა ჩემი, ჩემი სურათებიანია და შენი კი არაო». მართლაც
რომლის წიგნშიაც სურათები არ იყო, თითქოს, სწეინდა
და მარტო ამას ამბობდა: «ახლა რა უკა, რომ არ არი,
იქნება აქ უფრო კარგი ამბავი სწერიაო.»

— როცა წავიკითხავთ, მაშინ გამოჩნდება, ვისი სჯო-
ბია და ვისი არა—უთხრა ერეკლებ თავის ტოლებს.

— ფულები რომ არა გმითხოვა? — სთქვა ერთმა.

— ახლა რა არი, რომ არა გთხოვათ! მერე მისწერთ..
აი, მეც გუშინ მივუცი! — უთხრა ერეკლებ.

— ბიჭო და ახლა მე საიდგანდა ვიშოვო, ნეტა, ი
ორი შაური? სოქება ნანვით ერთმა ემაწვილმა, რომელსაც
მართლაც სხვებზედ ნაკლებად იცია და ეტეობოდა ღარი-
ბის ოჯახიდან უნდა ეოფილიერ.

— ნუ გემინან, მე მაქას, გასესსებ და როცა იმოვთ,
მომეცი. — უთხრა დაბალი ხმათ და თვალების სამხამით
ერეკლებ, თითქოს არ უნდაო, რომ სხვებს გაუცონა, და
გასწიეს გახარებულებმა შინისკენ.

ნ. ალნიაშვილი





მუდო და ხვლიკი

ერთხელ მუდოს, ამომძვრალსა
მიწიდან, მზემ დაცუნა...

არ იამა უჩვეეს... პირი
ხერელისაკენ გაიბრუნა

და სთქეა: „მიკეირს, სულიერი
და უსულო მზის სხივებსო
რათ შემნატრის, ამ სიცხეში
სასარგებლოს რას ჰპოებსო?

„მე მზეში კარგს ვერას ეხედავ,
თუნდაც სულ ნუ იქნებაო,
მიკეირს, ან სხეას რას უკეთებს,
ვის, ან რისთვის სჭირდებაო?“

გაიღონა ეს სიტყვები
ხვლიკმა, მყოფმა იქვე ახლოს
და მიუგო: „მზისა ფასი
რა გესმისო უსინათლოს?

„გასწი, გასწი, ბრმავ მიწაში
და იქ დასტყბი სიბნელიოო,
ჩეენ კი გვინდა, მზეს უყუროთ
და ვსტყბებოდეთ სინათლიოთო!

„გასწი, მაგრამ ის იცოდე,
რომ ყველას მზე გვაცოცხლებსო;
თუმც ავრე გძულს, უიმისოდ
გააფშეკდი შენ უეხებსო!...“

დუბიუ მეგრელი

ე უ რ შ ა ს ა მ ბ ა ვ ი

დ ე ბ ე ნ დ ა

(რაჭაში გაგონილი)



ველად ყოფილა ერთი კარგი მონადირე — ივანე ქვა-
ცახელი. ამ ივანეს ჰყოლია ძალლი — ყურშა. ყურშა
ვანუყრელი ამხანაგი იყო თავის პატრონისა. შეხედუ-
ლობით ეს ძალლი თურმე მეტად დიდი რაშ იყო; „მისი
თვალები — მთეარის ოდენიო,“ თათების ღანაჩენი კვა-
ლი კალოს — ოდენიო. ხმა ისეთი დიდი ჰქონდაო, რომ მი-
სი ყეფილი ცის გრძევინვას მოგავრცებდათაო; „მისი ნახტო-
მი — სოულის ოდენიო; ყურშას ნაწოლი — მინდერის ოდენიო.“
ამასთანავე საკვირველი საზრიანი ყოფილა. თურმე ყურშა ხშირად
მარტო წაეიდოდა მთებში და უდაბურს ტყეებში. ცალიერი კი არას-
ოდეს არ დაბრუნდებოდა. საუკეთესო ნადირებს დაუჭერდა და მოუ-
ტანდა თავის პატრონსა. ამასთანა ძალლი რომ პატრონს ძლიერ
ჰყარებოდა, რა გასაკვირველი იქნებოდა.

პატრონიც ძირად აფასებდა ყურშას ამაგსა და არას ზოგავდა იმისა-
თვის. „ყურშას ვაჭმეული პურსა ქადასაო, ყურშას ვაბამდი ოქროს
ჯაჭვითაო და სხვ. — ასეთი ამბავია ყურშა მონადირე ძალლზე დარჩე-
ნილი ხალხში.

ყურშას სახელი ყველგან გავარდნილი იყო და მას ყველანი
კარგად იცნობდებო. არა ერთს მონადირეს შეუხედნია იმისთვის ნატვ-
რის თვალით! ერთს მშეენიერს დღეს ყურშა აღარსადა სჩანდა. პა-
ტრონს სანადიროდ წასული ეკონა და გულშიც არა გაუვლია რა,
მაგრამ გავიდა ორი სამი დღე და ყურშა კი არსად იყო. მაშინ ეცა
ელდა პატრონსა. აჯგა და გაუდგა გზას კავკასიონის მთებისკენ, ე. ი.
იქით, საითაც ყურშამ ხშირად იცოდა სანადიროდ სიარული. ბევრი



იარა ივანემ; არ დაუტოვებია არც ერთი სანადირო მთა-კლდე, რომ არ შემოევლოს, მაგრამ ღონეს ვერას გახდა. დალონებული და თავ-რეტ დასხმული დაბრუნდა შინ. მეტობლობაშიც ბევრი ძებნა და გამოკათხა ჰქონდა ამის შესახებ, მაგრამ მთას გაჰქრა, თუ ბარს გაჰქრა, ვერა გაიგორა იმისი ასავალ დასავალი. ივანე დარწმუნდა, რომ სწორედ რაღაც უბედურება ეწია ჩემს ყურმასაო; ცოცხალი ალარსად უნდა იყოსო.

გავიდა რამდენიმე ხანი. პატრონს ჯერ კიდევ გამოგლოვილი არ ჰყავდა, რომ ყურმა უეცრად კარს მიადგა. საწყალი ძალლი ცალიერი ტყავი და ძელები-ლა იყო; ყელზედ ოქროს ჯაჭვის ნაცვლად ქერქის საბელი ება. მაშინ კი მიხედა პატრონი, რომ ეს უკულმართის ხელისაგან უნდა ყოფილიყო დატყვევებული და საბრალო პირუტყვს ბოლოს მაინც თავი დაუხტევია და განთავისუფლებულა. ივანე მიე-ალერსა თავის საყვარელს მეგობარს და თან მოსთქვამდა:

„ყურმას ვინ ჰყადრა ქატო ქერისა?
ყურმას ეაჭმევდი ჰურსა ქადასა!...
ყურმას ვინ ჰყადრა ქერქის საბელი?
ყურმას ეაბამდი ოქროს ჯაჭვითა!“

ყურმამ მალე მოიხადა ტყვეობა და შეიქმნა უწინდელივით შშვენიერი.

ერთხელ ივანე ქვალინელი და ყურმა სანადიროდ წაეიდნ კავ-კასიონის მთებში. ბევრი იარეს, მაგრამ ნადირის კვალიც ვერსად იპოვეს; მესამე დღეს ივანემ მოჰკრა თვალი ერთს საარაკო დიდა ჯიხესა. გამოუდგა უკან და თან ყურმაც, მაგრამ არ იქმნა, ვერას გზით ვერ მიეკარა ისრის სასროლზედ. ბევრი სდიეს მას და ბოლოს ნადირი გაეიდა თვალ აუწვდენელს პიტალო კლდეზედ. მონადირებ აკეთა თოვლის გუნდა, იგროვა კალთაში და შეუდგა კლდესა. სა-დაც ფეხის დასადგამი არ ჰქონდა, იქ თოვლის გუნდა აკოსა, ადგა ფეხი და ამ გვარად ავიდა კლდეზედ. იქ როგორც იყო, მიეპარა ამ ჯიხეს და მოჰკლა. დააპირა ჯიხეის წამოლება; მაგრამ გზა არსაით



იყო. ის თოვლის გუნდები მთლად ჩამომდინარიყო. დარჩა ივანე იმ კლდეზედ. სარჩოდ იმას და მის ყურშას ჯიხეის ხორცი ჰქონდათ. მაგრამ ის მაღლ შემოელიათ და დაუდგათ სიმწრის დღე. ყურშა თავის პატრიანთან იყო და არ შორდებოდა. ბოლოს პატრიანს გაუელვა თავში — მოდი ყურშას დავკლავ და ეგების ორიოდე დღე მაინც კიდევ ვიცოცხლოეო. დაკლა და გაატყავა კიდეცა. მოთალა ხორცი და მოემზადა საჭელად, მაგრამ ტყუილად: გულმა ყურშას ხორცი არ მიიკარა. დააჩერდა საწყალი მონადირე ყურშას ხორცს და ასე მოსთქვამდა:

„ყურშაო, შაეო ყურშაო!
შაეო და შაეის დღისაო!
შაეს დღეზედ დაბადებულო,
შენ შაეის პატრიანისაო!

„ორნივ შიმშილმა შეგებნილა,
გზა არსად გვქონდა საეალი.
უნდა შეგჭამო, ყურშაო,
მეტი არ არის წამალი!

„ყურშა დავკალ და გვერდს მიდევს,
ალმასის დანაც ზედ მიძევს;
მითლია, ვერ მიჭამია,
სულიც ვერ წამიწყმედია! *)

როდესაც ივანე ამ განსაცდელში იყო, მისი ნათესაობა ჯაერი-საგან აღარ იყო. არაოდეს ამდენი ხანი არ დაჰგიანებიათ მონადირეებს. ნათესაებმა თავიანთი ჯაერი თავის მეზობლებს აცნობეს. სოფლის რჩეული ბიჭები ფიცხლავ შეიკრიბენ და გაუდევნ მონადირის საძებნე-ლად. დიდის ხნის ძებნის შემდევ იმათ მოესმათ ერთის მაღლის კლდიდან კაცის ხმა. აიხედეს და იცვნეს, რომ ეს ივანე იყო. კაცო! მანდ რამ აგიყენაო? — იმან იქიდან ჩამოსძახა თავისი თავგადასავა-

*) იხილე „ივერია“ — 1890 წ. № 74.



ლი. სხვა ღონე ვერა ნახეს რა და შესძახეს: თივას მოგიტანთ და გავითვენთო; შენ მადედან გაღმოსტიო. მონალირე უარზედ იყო და ცხარეს ცრემლით მოსთქვამდა: ჩემი ყურშა აქ მოვყალი და მეც აქ უნდა მოვკვდეო. იქ შეიკრიბა მთელი მისი ჭარისუფალი და ეველ-რება, თავს ნუ იკლავ და გადმოსტიო.

ბოლოს ამ მოგროვილს ხალხში გამოერია ერთი თმებ-გაშლი-ლი და შავებით შემოსილი მყტად შშეწიერი, ახალგაზდა ჭალი, რომელიც ცხარი ცრემლით სტირის და მოსთქამს. ეს იყო ივანეს ცოლი. მან შესძახა, ივანესა: „ნუ თუ ყურშაში გინდა გამცვალო შენი საყარელი ცოლიო? ამ სიტყვების გამონემ ივანემ ვეღარ სთქა უარი და დათანხმდა გადმოსტომაზედ. სოულელებმა მოუტანეს ურმებით თივა და დაუუნინე კლდის ძირში. აიწია მონალირე და გადმოეშვა, მავრავ... თივა შორს დარჩა. საწყალი მონალირე ჩავარდა თვალ აუწვდენელს ხრამში, სადაც მას მიწამდის სული არ დაჰყოლია.

მთელი მისი სოფლის ხალხი, დიდი, თუ პატარა, სულ აქ მაწყდა. გაუკეთეს კუბო და წამოასცენეს სოფელში. თმებ-გაშლი-ლი ცოლი მწარეს ხმით მოსთქამს და მას ბანს ეუბნება მთელი სოფელი.

„ ჟ უ რ შ ა “ *)

„ყურშაო, შავო ყურშაო!
შავო და შავის დღისაო!
შავს დღეზედ დაბადებულო,
შენ შავის პატრონისაო!

„ყურშა გავგზავნე, გავგზავნე
სანადიროს, ნადირობსა;
მისგან მოველი მოველი
ნადირსა სასადილოსა!

*) ხალხი ამ ლექს მღერის ფურხულში ორ-პირულად და ემჩევა მეტაურულის და გლოვის ხასიათი.



„ყურშა მისდევდა, მისდევდა
ნადირსა შავის ტყისასა;
ყურშას ყეფილი, ყეფილი
ქუხილსა ჰგავდა ცისასა!

„ყურშას ნახტომი... *)
სოფლის ზომერთი ..
ყურშას ნაწოლი...
მინდერის ოდენი...

„ყურშას თათები...
კალოს ზომერთი...
ყურშას თვალები...
მთეარის ზომერთი...


„ყურშას ვინ ჰყადრა
ქატო ქერისა..
ყურშას ვაჭმევდი...
პურსა ქადასა...

„ყურშას ვინ ჰყადრა, ვინ ჰყადრა
ქერქის საბელი!...
ყურშას ვაბამდი...
ოქროს ჯაჭვითა...

„შავო ყურშაო, ყურშაო
შავო და შავის დღისაო!
მაეს დღეზედ დაბადებულო,
შენ შავის პატრონისაო!

„ორნიე შიმშილმა შეკვებნიდა,
ეზა არსად გვექონდა საეალი!
უნდა შეკამო, ყურშაო,
მეტი არ არის წამალი!

*) უკანასკნელი სიტყვა სიმღერაში გამეორდება.



„ყურშა დავკალ და გვერდს მიდევს,
ალმასის დანაც ზედ მიძევს;
მითლია, ვერ მიჭამია,
სულიც ვერ წამიწყმედია!...“

„ჰეი, შენ ძმაო ივანე!
ჯიხვთათვის რა გიქმნიაო?
შენი შეიღლდი და კაპარჭი
ნეტა რად გადგიგდიაო?“

„გამოვყე ჯიხვების კვალბა,
ნახტოშისა ჯერნებისასა;
აქ დავინახე ჯიხვები,
ჯიხვები შავის კლდისაო!
მაგრამ გზა ვეღარ ვიშვე,
ვეღარ ჩამოვეღო ძირსაო!“

„ივანე! მას არ იტყოდი
კლდეში არ მეშინიანო?
რად ვერ ჩამოხველ, ვაჟ-კაცო!
სირცეეილის არ გცხვენიანო! და სხვანი...“)

ს. დათეშიძე



*.) ამის ლექსი საუბედუროდ სრულად ჯერ ვერ მიშვენია და შეიძლება რომელიმე მივარდნილს სოფელში იყოს დარჩენილი და შემდგომში მაინც იქნება სრულად მოვიაბოვოთ.

ჩვენი ფუტკრის ამბავი

ანა ფუტკარზედ სასარგებლო მწერი იქნება მთელ
დედა-მიწის ზურგზედ? ოთ გნებავთ რომ იმისა
ვან არ ვსარგებლობდეთ? ეს ღვთისთვის სავედ
რებელი და დასახოთები წმინდა სანთელი, ეს კიდევ
ქვეყანაზე უუტგბილესი თაფლი. მეტსრადას მოითხოვს კაცი
ბანჯგვლიან, მწარე კბენარა ფუტკრიდან? მე თუმცა ძლიერ
მიუვარს თაფლიცა და სანთელიც, მაგრამ ჩვენ ფუტკრის
გეჯასთან (სკა) მისვლა კი ძლიერ მეჯავრება. მეჯავრება მი-
სვლა იმიტომ, რომ მეშინან ფუტკრის ჟბენისა. არა ერთ-
ხელა და ორჯელ მასსოვს იმათი ოინები. რაძენჯერ და-
მხვევიან და სულ «ვაი დედა» უმახინებიათ ჩემთვის, ჩვენი
ფუტკრები ხომ ძლიერ ნავსები არიან. ან კი ვინ იფიქრე-
ბდა ჩვენ ფუტკარს გავიჩენდით! მხოლოდ ერთხელ მამა ჩემს
ტექში ერთ ადგილას ხემი ენახა ფუტკარი. თურმე და-
დი ხანი იქა ეოფილიეო და ბევრი თაფლიც ჰქონიეო.
მამას ხე მირმი მოეჭრა, გაეხეთქნა, თაფლი ცალკე ამოედო
და ფუტკარი კიდე დაეჭირა. შინ რომ მოიტანა, ჩვენ პა-
ტარებს თაფლი გაგვეხარდა და მამას კიდევ ფუტკრის და-
ჭერა უსაროდა. მამამ გეჯა გარკეთა, ბოსტანში დადგა და
შიგ ჩვენი ახლად შექნილი ფუტკარი დაასახლა. ერთი გუ-
ჯიდან მეორე წელსა თრი გეჯა გაგვისდა, თან-და-თან იმა-
ტა და ახლა ათი გეჯა გვიდგია. ჩვენ უფრო მეტი ფუტ-
კარი უნდა გეგაგნდეს ახლა და უფრო ბევრს თაფლს უნ-



და ვღებულობდეთ, რომ მამა ჩემს სხვისთვის დაეჯერებინა, უწინდელი გეჯების მაგივრად ახალი მოგონილი გეჯები გაქცეთებინა, სადაც ფუტკარი თავისუფლად იცხოვორებდა და უკრო ბევრ თაფლს გააკეთებდა — მაგრამ მამამ სხვებს არ დაუჯერა, ისევ უწინდებურ გეჯებსა ხმარობს, ფუტკრებიც შიგ ხანდაუხან იხოცებიან და თაფლსაც იძღვნს გერ ღებულობს: ხან ჭიები, ხან თაგვები ესტუმრებიან გუჯაში და ჩვენ წილ თაფლს ისანი ჰაქცევიან. ესეც კი ბევრია მამა ჩემისაგან, რომ ერთი გეჯიდან ათი გაჭხადა, იქნება დმერთმან ერთი ორად და სამად გვიმრავლოს ფუტკარი, იძღვნი თაფლი ავიღოთ, რომ ჩვენც გვეუს და სხვებიც მოვიმადრიელოთ.

ოს, დმერთო ჩემო, როგორც სალსს, ცხოველებს და ფრინველებს, მწერსაც კი სცოდნია და ჰქონია თავუდარიგი ცხოვრებაში. რამდენიც კი ვაკვირდები ჩვენი ფუტკრების ცხოვრებას, მიკვირს და გამჭვირებია ამათი წეს-წეობილება. ამათ უფროსი ღერა-ფუტკარიცა ჰქავთ, როგორც მეფე მბრძანებელი, უველავერსა განაგებს და ეველა დანარჩენს ფუტკრებსაც ეშინიანთ ამისი. რო მიდიოდეს ღერა-ფუტკარი გეჯაში, უველა ფუტკრები მოწიწებით ჩამოეცლებიან და გზას აძლევენ; ისიც მედიდურად, თავ-მოწონებით გაივლის ხოლმე გეჯაში. მართლაც რომ თავის მოუვანილობით, სიდიდით და ქრევით დიდათ განირჩევა ღერა ფუტკარი სხვა ფუტკრებიდან ერთი რიგობა მუშა ფუტკარია, მეორე კიდევ მუქთა ჭამია ფუტკარი. მუშა ფუტკრები საიდან სადამდის მიდიან ეგავილებიდან და ხეხილებიდან ხარკს ღერულობენ, სიტყოს სწორიან და საზრდო თაფლს ეწოდებიან



გეჯაში. იქ კი მუქთა ჭამია ფუტკრები უსვინდისოდ შეუძლებან სხვის ნაშრომსა, მოტანილსა....

ჩვენი ფუტკრები ზამთარში მღვიერ მოწევნილები ჩუმათ არიან სოლმე, გეჯიდან სმა არც კი ისმის იმათი, სიცი ვისაგან დასუსტებულები და თანაც უსასზრდოებისაგან ერთ ადგილას გეჯაში მიმწევდეულები არიან. მე სოულებით აღარ მეშინან ზამთარში იმათთან მისვლა. როცა ასალ წლის ღამით მამა გეჯებს ახდის სოლმე თაფლის ამოსაღებათ, მეც სანთლით ხელში თან დავდევ, მამა ამოალაგებს სოლმე გეჯიდან კოლტო კოლტო თაფლის ნაჭრებს: დავაწეობთ საინზედ და მივარბენინებთ სოლმე შინისკენ. ასალწლის ღამითვე დავბერდებით ტკბილად თაფლითა, კოზინაჟს ბეჭრს გავაკეთებთ სოლმე. მამა ჩემი სულ კი არ ამოიღებს გეჯიდან თაფლსა, ზოგს იქ დაურჩენს ფუტკრებს საჭმელად, რომ შიმშილით არ დაიხოცონ. სანაც ზოგ გეჯაში, თუ თაფლი არ იქნება, ქონს ჩაუდებს, თურმე ქონსაც კარგათ შექცევიან. ან კი რა ქნან, საწელებმა, ზამთარში სად წავლენ, სად რას იშოგნან: მთა და ბარი მოტიტვლებულია, უნდა გასმლონ, როგორც იქნება გაზაფხულამდის, სინამ ჭარები სითბო ჩავარდება, მთა და ბარი გაიღვიძებს, დედა-მიწა გათბება და ჟველა მცენარეებიც აუგავდებიან; მაშინ ჩვენი მმინარა ფუტკრიც გაიღვიძებს და უუურე იმათ სეირს, სან საით გაუტიშენ და სან საით. ჩვენ იმათ ლოლიაობისაგან აღარა ვართ, ვესვერებით შორს ნუ წახეალთ, არ დაგვეკარგოთ. თუ კიდე არ გავგიგონეს, ჩვენები ბარანბოთი, ტაშტითა და კასრით გამოუდგებიან წარა—წარით და რაკა-რუკით, ისევ უპან



მოაბრუნებენ ხოლმე, ხანაც ნაცარს შეგზერით და ისევ ვის
ბრუნებთ. სწორეთ ომია ამათი მობრუნება. და თუ უცხო
ფუტკრი ეწიათ, მაშინ ხომ უფრო დიდი ომი გაიმართება.
საკვირველი ის არის, რომ მამას არ ერჩაან, ისე თავისუფა-
ლათ გაატარებს ხელს ხოლმე გეჯაში, რომ ფუტკრები გერ
შეშებედავენ კბენას, სხვა კი უცხო ვინმე რომ მივიღეს, ვაი
იმის ბრალი. ისე დაასიებენ, რომ კაცმა ვეღარ იცნოს,
ჩვენი მურკა და ვასკაც ბევრჯელ გამწვავებულან. ერთ-ხე-
ლაც ჩვენი ვასკა გეჯასთან მისულიერ, დაჭხეოდენ ფუტ-
კრები და ისე დაეყბინათ, რომ უვავილიერი ღუდუდები და-
ასხა, ბევრი ვარბენინეთ ვასკა, მლივს მოვაშორეთ ფუტკრუ-
ბი, კარგა ხნობამდის ვეღარ გამოდგა ჩვენი ვასკა, ცო-
დვით ზედ ვეღარც კი ვჯდებოდით. მეც კი ბევრი ოინები
მახსოვს ჩვენი ფუტკრისაგან, მაგრამ როცა ტკბილს თაფლს
შევექცევი, ეგელაზფერი მავიწედება. იმათ შიშით ბოსტანში ვე-
ღარ შევდივარ. ჩემ წილ ქლიავს ისინი შექცევას და მე
კიდევ ქლიავის წვენიდან გაკეთებულ თაფლს წავართმევ
ხოლმე ფუტკრებს და ტკბილად შევექცევი. ასეთი ქცევა და
სასიათი აქვს ჩვენ ფუტკრს და არ ვიცი სხვებისა როგო-
რი სასიათისანი იქნებიან.

გ ა შ ა ფ ხ უ ლ ი



იიპარება ზამთარი,
ძალ-ღონე გამოელია,
და თვალს არიდებს გაზაფხულის!...
რა ცუდი მასპინძელია?!

კარის კაცებიც თან მიჰყავს:
ანთება, სურდო და ხეელა:
„წინ წყალი, უკან მეწყერა!...
წყალმა წაილოს სუყველა!...

მის ნაცვლად ველით გაზაფხულს;
ჟუჟუნა მშეენიერია!...
იმისი ტანისამოსი
უცხო და მრავალფერია!

წინ მოუძლეიან ჩიტები
მაყრულით საამურითა.
ბულბული ჩანგით დახვდება
და შაშვი სალამურითა.

მერცხალი მახარობელი
ჭიკვიკით მონავარდია
და სუნელების მბრკვეველად,
მზათ ზამბახ, ია, ვარდია.

ქვეყანა მაჯას გაიხსნის,
გული დაუწყებს ძეგრასა
და საიდუმლო სიმებით
იწყებს ბუნება ქლერასა!

ა გ ა გ ი .

რა მასწავლა ცემამ ზამთარში და ზაფხულში

ამბავი ე. ნ. გოდოგოზისა

(ნათარგმნი)

0ს ხალხი, რომელიც ყოველთვის ცხოვრებს ქალაქ ადგილას, თავის დღეში ვერ მიხვდება, რა ძეირფასია სოფელში მცხოვრებთათვის სიახლოვე ტბისა, ანუ მდინარისა. პირველი წელიწადები ჩემი ყმაწევილობისა მე გავატარე სრულიად მივარდნილ ალაგას. არა თუ სამაზრო ქალაქი მინახავს, არც კი ვიცოდი თუ არის სადმე სამუშაო ქარხნები ანუ დუქან-ბაზარი.

ყოველ სიამოქნებას, სიხარულს და მწუხარებას, ზამთარსა და ზაფხულში,—ეპოულობდი მე ჩვენ პატარა ტბაში. იმან არა თუ მარტო ის მასწავლა, რომ თვალი მელევნებინა რაც ჩემს გარს ხდებოდა ბუნებაში, დამაახლოვა კიდეც ბეჭრს იმ ხალხთან, რომელნიც იქ მუშაობდენ და პატივი მაცემინა იმ ყოჩალ მუშაკთათვის, რომელთაც პირველში უკუნურად ესთელიდი; თეოთ ნაზად ჩვეული თანდა-თან წავთამამდი და გავყოჩალდი, რაც შემდეგ ცხოვრებაში ძალიან გამომადგა.

ათი წლისა რომ შევიქნ, დედამ ნება დამრთო მარტო სიარულისა, მხოლოდ ერთთავად სახლიდან შორს წასვლა ამიკრძალა.

ყველაზედ ახლო ტბა იყო და ამიტომაც ის შეიქნა ჩემი სასეირნო აღვილი. ზაფხულში, როგორც მზე ამოვილოდა, მე საჩქაროდ დავავლებდი ხელს შაისა და ნევსკავს, გავრბოდი ტბისაკენ. მაშინვე ვიშიშვლებდი, ნევსკავს მიეაყუდებდი ხეს, ტანისამოსს გავფენდი ტოტებზე და დაეიწყებდი ბანაობას: ეპარქულებდი წყალსა, ფეხების ქნევით დაეაყენებდი თეთრ ქაფს, ჩაეიყურჯუშალავებდი, ვცურავდა, როგორც იხვი. ოჰ! რა რიგად მიხაროდა, რომ თან არ მყავდა ჩემი ბუსხუნა გადია, რომ არაეინ მაჩქარებდა წყალიდან მა-



ლე ამოსელასა, ხელს არავინ მიშლიდა ჩემ გამბედაობასა. თითქოს მოწმენდილი ლურჯი ცა მყავდა მფარველად, მეც მაღლობელი დედიქმისა, თავისუფლების მოცემისათვის, არ ვივიწყებდი განსაცდელს და ვფრთხილობდი, რაც უნდა გარდამეტად გაროულვიყავ სიცელ-ქეში. რა სიამოვნებაში ვიყავ; იმისთანა მხიარულს გაღობას დამჭი-კჭიკობდენ ჩიტები და ბანს ვაძლევდი... თითქოს ჩემი ყურადღე-ბისათვის მეთამაშებოდენ ისინი, ნამეტურ შოშია და წყალ-წყალა ლამის მისვამდენ ლოყაზე თავიანთ მსუბუქ ფრთხებს, ისე ახლოს დაფრინავდენ ტბაზე, ჩემ-თავით. წმინდა კამპაშ წყალში მე ვარჩევ-დი მოთამაშე თევზებს. ამათაც ჩემსავით უხარისათ თავისუფლება, ვფიქრობდი მე.

სიცემში, მაშინვე გავგრილდებოდი ცივ წყალში, საჩქაროდ ჩა-ვიცეამდი, ჩამოვჯდებოდი ჯირკზე და გადვისხოდი ანკესს. იი! ჭია გაინძრა! სჩანს თევზი ხედავს ჭიას და სიფრთხილით ეხება, რომ არ მოსტყუვდეს. აჟა! მოსტყუვდა, ჭია ჩასძირა, — სჩანს მოხედა. მოდი აქა სულელო! საცოდავო, რა ადეილია შენი მოტყუება.

იმის მავიერად, რომ კავიდან ჩამომელო თევზი მე ჩამოვლიჯე ლაყუჩი და ის უსულოდ დაეცა ჩემ ფეხთან. ღმერთო! რა საცო-დავია! რარიგათ ეტკინებოდა. მხურევალეთ მიეიკარ საბრალო თევ-ზი ტუჩებზე და უკანვე ჩაეგადე ამხანაგებთან.

თუმცა თავისუფლება მივეც, მაგრამ ძალიან ვაენ იმ თევზსა, ვფიქრობდი მე. უთუოდ ისე უნდა მოვახდინო, რო ცუდათ არ მო-მიგონოს. იმავ წაშს გადავყარე რაც ჭიები მყავდა შეგროვილი სა-თევზაოთ. რაოდენი თევზები მიეხეინ თავიანთ გემრიელ ლუ-კმას!

მე დაუუმეგობრდი თევზებს, ყოველ დილით ისინი მხიარულად მოსუურავდენ ჩემთან, როცა ჩაეუყრიდი ხოლმე საჭმელს.

ერთხელ ჭიეჭამა, ჩემ თეალ წინ აიღო ჭია, რომელიც ხელი-დან გამარდა. დავინახე სადაც მახლობლად ჩირგვებში ჩაფრინდა. იმის ჭიკუკზე მალე მიეაგნ კვალს, გადაესწიე ჩირგვი და ტოტებში ვიპოვე პატარა ბუდე, საიდანაც გამოიყურებოდა და ფრთხიალებდა

საში პატარა თავი. ბარტყები წრიპინებდენ, დიდათ აღებდენ პირსა, ეკ-როდენ დედას, რომელიც სათითაოდ აძლევდა ჭიას.

ბუდის მახლობლად გავმართე ფიცარი, რომელზედაც ყოველ-დღე ვაწყობდი პურს, მარცვალს, ბუზებს, ჭიებს, და ხილსა თუ მი-ნდოდა დათვალიერება რისამე, ხეს ამოვეფარებოდი და იქიდან ესი-ნჯავდი. ისე შემეჩვივენ რო აღარ ფრთხებოდენ ჩემგან ჩიტები, და დედა მათი ჩემთან ასწავლიდა თავის პატარა ბარტყებს ერთის რტოდან მეორეზე ფრინვას.

ტბის პირზე ყოველთვის ება ნაევი. ადრევაც ვჯდებოდი ნაეში, რომ ახლოს მიესულიყავ ლერწმებთან, რომლის გლეჯა მიყეარდა და ჩემი პატარა ძმისთვის ჯოხების კეთება, ხან ვგლეჯდი ლამაზ ყვითელ ყვავილებს. მაგრამ ამ ხანად კი გასეირნება მოშესურდა. თა-მამად დაეიწყე ნიჩბის სმა და კარგად შორს წაველ ნაპირიდან, მა-გრამ მკლავი მალე დამიბუჯდა შეუტჩევარ შრომისაგან და ნიჩაბი ჩამიგარდა წყალში. პირეელში შევკრთი, უფრო იმიტომ რო ცა მოლრუბლული დაეინახე; მაგრამ დაწყნარებულმა ტბის პირმა და გარს სიშეიდემ მალე დამაშეიდა; თავი მაღლა ავიღე და დაეიწყე ყურება ცაში.

რაოდენი ღრუბელი ირეოდა! ამ ხანად ისეთი დაღვრემილი, ჩა-შავებული სანახავი სახე ჰქონდა, იმისთანა უცნაური მრისხანე ფო-რმას მიიღებდა, რომ თვალი მათხედ დამრჩა. აი, ერთი ღრუბელი დაუახლოედა შეორეს და, აი, საოცრება! აშკარად გავარჩიე არა თუ მარტო ჩემი ბებერი, უხუცესი პაპა, არამედ იმისი გრძელი ჭალარა წვერიც. პაპა, რომელსაც ყველანი პატივს სცემდენ ჩენსა, იყო გადაბრუნებულ ცხერის ტყავში, — საყველიერო ბერიკის ტანთ სა-ცმელში. უცებ პაპამ დამიქნია თითო და ერთ წამზე ბებერ პაპის მაგიერად გამოჩნდა ვიღაც საშინელი მოჩევენება: გრძელ ფეხებიანი და დიდ-თავა, უთუოდ ეს ის საშინერებაა, რომლითაც მაშინებდა აღრე პაპჩემი, ტყუილად არ გამომეტადა მას შემდეგ. ფიქრად გავი-ელე თუ არა ესა, ჩემ წინ მშევნიერი პატარა ბატუანი გაჩნდა.

უცებ დაუბერა ქარმა, შორიდან მოისმა ქუჩილი, ცა ჩამო-ბნელდა, აიშალა პატარა ტალღები, დაიწყო წვიმა, და ნაევი წაიღო



თუმცა ნაპირის ახლოს, მაგრამ ნაერი ხან აქეთ ქანაობდა და ხან იქით და ყოველ წამს გადაბრუნებას აპირებდა. შიშისაგან თვალთ ამიჭრელდა: აქ ჩაც ძალი მქონდა საშინლად შევკიცე.

მე თითქმის უგონოდ ვეგდე და მაშინ გამოვფხიზლდი, როდე-
საც ჩემ გვერდით გავიგონე ნაცნობი ხმა მაქსიმე მეთევზისა, ყელამ-
დინ იდგა წყალში და ცდილობდა ჩემი ნაერისათვის მოედო კავი,
მაგრამ ქარი და ტალღები ხან უკან ავდებდა ნაერა, ხან მაქსიმეს
ნაერ აშორებდა. რამდენჯერმე ცურვიდ წამოვიდა ჩემ საშეელადა,
ნაერ მოახწევდა ხოლმე, მაგრამ ვერა გზით ვერ ჩავლო ხელი, —
ისე გლეჯდა ქარი ნაერა სხვა მხარეს. ბოლოს მაქსიმე შეჩერდა ფეხ-
ზედ საღაც ყურებამდინ მიაღვა წყალი, მხოლოდ მაშინ ჩაიგდო
ხელში ნაერ.

სულ პირველად იმ აზრმა გამიელვა თავში, რომ ყველას ბო-
ლო მოელო: ახლა აღარსაღ გამიშვებს მე დედაჩემი, რაკი ამისთანა
შემთხვევა მომიერდა, რა გაფთხილება მართებს კაცა... თავისუფ-
ლების დაკარგვის აზრმა შემიწუხა გული.

— დედამ იცის? დედამ გამოვგზავნა ჩემთან? მივაყარე მე კით-
ხვები, როდესაც მაქსიმემ პომაწვდინა ხელი ნაერიდამ გადმოსაყვანად.

